

პროექტი TIMMOD-ის მე-4 ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენი

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები.

TIMMOD-ის რპოგრესი



2021 წლის ზაფხულში გარკვეული სამოგზაურო შეზღუდვისა და COVID-19 ზომების დროებით გამარტივებამ დადებითი გავლენა მოახდინა TIMMOD პროექტის მოვლენებსა და მიმდინარე აქტივობებზე. ძირითადი შეხვედრები და საპილოტე სადემონსტრაციო კვლევა შავ ზღვაში წარმატებით ჩატარდა პროექტის ყველა პარტნიორის, დაინტერესებული მხარის, გარე ექსპერტებისა და სტუმრების ადგილზე მონაწილეობით.



TIMMOD ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენის მეოთხე კვარტალში შეგიძლიათ გაეცნოთ 2021 წლის მაისიდან 2021 წლის სექტემბრის ჩათვლით განხორციელებულ პროექტის აქტივობებზე:

- TIMMOD-ის ზღვის კვლევა და საპილოტე სადემონსტრაციო პროექტი ბულგარეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლში.



- მესამე თემატური ტრანსსასაზღვრო შეხვედრის დროს განხილული და წარმოდგენილი თევზის მარაგების და არათევზეული რესურსების შეფასების ინოვაციური ტექნოლოგიები.
- სემინარი ტექნოლოგიური ინოვაციების წარდგენის და მონიტორინგის აღჭურვილობის, მონაცემთა დამუშავების ICT ინსტრუმენტების, GIS ინსტრუმენტების მეშვეობით ვიზუალიზაციის პროგრამული უზრუნველყოფის დემონსტრირების.
- პროექტის მიმდინარეობისა და ძირითადი გადაწყვეტილებების მიმოხილვა პროექტის მენეჯმენტისა და საკოორდინაციო გუნდისა და მმართველი კომიტეტის შეხვედრებიდან.
- ცნობადობის ამაღლება და პროექტის შედეგების გავრცელება მეოთხე გავრცელების ღონისძიების დროს ვარნაში, ბულგარეთი.
- ციფრული აქტივობები ორგანიზებული ციფრული სარეკლამო კამპანიის ფარგლებში ბულგარეთში;
- შავ ზღვაში საზღვაო გარემოს მონიტორინგის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის რეკომენდაციების შესახებ ანგარიშის შეჯამება.
- Web-დაფუძნებული ღია ICT ინსტრუმენტები.
- მომავალში.



ეს პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მოლდოვის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი და პირდაპირ არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.



პროექტი TIMMOD-ის მე-4 ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენი

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები.


TIMMOD ზღვის კვლევა და საპილოტე სადემონტრაციო პროექტი ბულგარეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლში.



პირველი საპილოტე სადემონტრაციო ტესტები, ტრენინგები და ზღვის კვლევა ინოვაციური მონიტორინგის აღჭურვილობის გამოყენებით დაიწყო 2021 წლის 22 ივნისს ვარნაში, ბულგარეთი, 14 დღის ხანგრძლივობით. ღონისძიების ორგანიზება და მასპინძლობა შავი ზღვის - დუნაის კვლევისა და განვითარების ასოციაციის (BDCA) და წამყვანი ბენეფიციარი, თევზის რესურსების ინსტიტუტი - ვარნა (IFR) მიერ მოხდა, რომლებმაც უზრუნველყოფეს კვლევითი ხომალდი და მოწინავე მონიტორინგის სენსორები და ინსტრუმენტები.



მიუხედავად Covid-19-ის მიერ გამოწვეული, გარკვეული მოგზაურობის შეზღუდვისა და არასტაბილური მდგომარეობისა, TIMMOD-ის ყველა პარტნიორის ექსპერტები წარმატებით ჩავიდნენ ბულგარეთში და მონაწილეობა მიიღეს კვლევებში. ცუდი ამინდის პირობებით და უცნობი მოწყობილობების შესწავლის გამოწვევების გათვალისწინებით, გუნდმა წარმატებით დაასრულა კვლევითი პროგრამა შემავალი ყველა დავალება.



პროგრამა მოიცავდა დემონსტრირებას და ტრენინგებს ინოვაციური აღჭურვილობის შესახებ შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, ბიოლოგიური ნიმუშების შეგროვებასა და ტრალირებასთან ერთად. მიღწეული იქნა სადემონტრაციო კვლევების ძირითადი მიზნები, რაც შესანიშნავი საფუძველია TIMMOD სამუშაო გეგმის შემდგომი განხორციელებისთვის.



ეს პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მოლდოვის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი და პირდაპირ არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.



პროექტი TIMMOD-ის მე-4 ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენი

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები.

თევზის მარაგებისა და არათევზური რესურსების შეფასების ინოვაციური ტექნოლოგიები განხილული და წარმოდგენილი იქნა მესამე თემატურ ტრანსსასაზღვრო შეხვედრაზე (TTM#3)

ინოვაციური გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და მოდელირების ტექნოლოგიების შესახებ თევზის მარაგის და არათევზის რესურსების შესაფასებლად, 5 და 6 ივლისს ვარნაში, ბულგარეთი, მოეწყო TTM#3. შეხვედრას, როგორც ჰიბრიდული ღონისძიებას, სადაც ღონისძიებას დაესწრნენ პარტნიორები, დაინტერესებული მხარეები და სტუმრები, უმასპინძლა შავი ზღვის დუნაის კვლევისა და განვითარების ასოციაციამ (BDCA), Art Saloon Radio Varna-ში, ვარნა, ბულგარეთი და ასევე ონლაინ მონაწილეები MS Teams პლატფორმაში.



ღონისძიების მთავარი მიზანი იყო მკვლევარების, მეცნიერების და გადაწყვეტილების მიმღები პირების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვითი პარამეტრების მონიტორინგისა და შავი ზღვის თევზის მარაგების და არათევზური რესურსების შეფასების ინოვაციურ ტექნოლოგიების კუთხით.

მე-3 TTM-ს ესწრებოდა 40-ზე მეტი მონაწილე შავი ზღვის ქვეყნიდან. ღონისძიების ძირითადი აქცენტი იყო პირველი საპილოტე სადემონტრაციო კვლევის და ტრენინგის მიმოხილვა, რომელიც ორგანიზებული იყო ვარნაში, ბულგარეთი 2021 წლის 22 ივნისიდან 2021 წლის 5 ივლისამდე პერიოდში. წარმოდგენილი და განხილული იქნა გამოყენებული აღჭურვილობა, კვლევითი გემი, კვლევითი პროგრამა და მონაწილეები, ძირითადი გამოწვევები და პირველი დასკვნები დემონსტრაციისა და ტრენინგების პროგრამიდან.



TTM#3 დასრულდა ნაყოფიერი მრგვალი მაგიდით, რომელიც ფოკუსირებული იყო შავი ზღვის რეგიონში ინოვაციური მონიტორინგის აღჭურვილობის გამოყენების პოტენციალზე, შემდგომი თანამშრომლობის შესაძლებლობებზე, კვლევისა და საინვესტიციო ინიციატივების საჭიროებაზე, რომელიც მიმართულია ერთობლივი მონიტორინგისა და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გაცვლის გაუმჯობესებაზე - ამ გზით კი წვლილი შეიტა BSB პროგრამის შედეგი 2.1-ში "ტრანსსასაზღვრო თავსებადი გარემოსდაცვითი მონიტორინგის მონაცემებისა და ინფორმაციის გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა".

პროექტი TIMMOD-ის მე-4 ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენი

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები.

სემინარი ტექნოლოგიური ინოვაციების წარდგენის და მონიტორინგისთვის განკუთვნილი აღჭურვილობის, მონაცემთა დამუშავების ICT ინსტრუმენტების, GIS ინსტრუმენტების, და ვიზუალიზაციის პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილის დემონსტრირების შესახებ.




2021 წლის 6 ივლისის სემინარის სესიის პროგრამა მოიცავდა მოწვეულ ლექციას და პრეზენტაციას, ღონისძიების მთავარი თემის ფარგლებში, შემდეგნაირად:

- თევზის მარაგების შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები;
- მონაცემთა შეგროვება და რეალურ დროში ვიზუალიზაცია/დემონსტრირება ICT ინსტრუმენტების გამოყენებით;
- თევზისა და არათევზეული რესურსების შეფასება ბულგარეთის შავი ზღვის სანაპიროზე;
- არათევზური რესურსების მარაგის შეფასების ინოვაციური ტექნოლოგია;
- შავი ზღვის სანაპიროზე აკვაკულტურების განვითარება; შავი ზღვის რესურსების მდგრადი გამოყენება და ლურჯი ეკონომიკა.

პროექტის მიმდინარეობისა და ძირითადი გადაწყვეტილებების მიმოხილვა პროექტის მენეჯმენტისა და საკოორდინაციო გუნდისა და მმართველი კომიტეტის შეხვედრებიდან.

პროგრამის მენეჯმენტისა და კოორდინაციის ჯგუფის მე-3 ოფიციალური შეხვედრა გაიმართა ვარნაში, ბულგარეთში, 2021 წლის 6 ივლისს (გადაცემა ასევე ონლაინ MS Teams-ის საშუალებით). შეხვედრა ჩატარდა, როგორც მე-3 ტრანსსასაზღვრო თემატური შეხვედრის (TTM) ასოცირებული ღონისძიება, პირველი პილოტური საჩვენებელი პროექტის შემდეგ, რომელიც ჩატარდა ვარნაში, 22 ივნისი - 5 ივლისი. შეხვედრას ესწრებოდნენ PMCT ჯგუფის ყველა პარტნიორის წარმომადგენლები. შეხვედრა ფოკუსირებული იყო მიმდინარე და მომავალი აქტივობების განახლებულ სტატუსზე, რომელიც წარმოადგინეს და განიხილეს GA-ს ლიდერებმა, PP-ების ფინანსურმა მენეჯერებმა და ყველა PP-ის წარმომადგენელმა.



SCOM-ის მე-3 შეხვედრა გაიმართა მეორე დღეს, 2021 წლის 7 ივლისს. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ყველა PP-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა - SCOM-ის წევრებმა, სადაც კენჭისყრით მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები პროექტის მიმდინარე და მომავალი საქმიანობის შესახებ.

პროექტი TIMMOD-ის მე-4 ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენი

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები.

ცნობადობის ამაღლება და პროექტის შედეგების გავრცელება მეოთხე გავრცელების ღონისძიების დროს ვარნაში, ბულგარეთი.

TIMMOD პროექტის მე-4 გავრცელების ღონისძიება მოეწყო 2021 წლის 7 ივლისს ვარნაში, ბულგარეთში, როგორც ჰიბრიდული შეხვედრა წარმოდგენილი მონაწილე პარტნიორების, დაინტერესებული მხარეების და სტუმრების სახით Art Saloon Radio Varna-ში და ონლაინ მონაწილეების ჩართულობით MS Teams პლატფორმაზე. ღონისძიების მასპინძელი იყო პროექტის პარტნიორი 2 - შავი ზღვის - დუნაის კვლევისა და განვითარების ასოციაცია (BDCA) - ვარნა.



ღონისძიების მიზანი იყო ადგილობრივ ენაზე TIMMOD-ის მოკლედ წარდგენა სხვადასხვა ადგილობრივი დაინტერესებული მხარის და პირებისთვის. პროექტის ძირითადი მიზნები, აქტივობები და მოსალოდნელი შედეგები იყო წარმოდგენილი ბულგარელი პარტნიორების, IFR და BDCA-ის ძირითად აქტივობებზე, პროექტის ფარგლებში მიმდინარე ამოცანებთან ერთად. მონაწილეებმა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებიდან, როგორიცაა სოფლის მეურნეობისა

და სურსათის სამინისტროს მეთევზეობისა და აკვაკულტურის აღმასრულებელი სააგენტო (EAFD), საზღვაო აკადემია - ვარნა, საზღვაო კლასტერ ბულგარეთი, შავი ზღვის აუზის დირექტორატი, საზღვაო ადმინისტრაცია - ვარნა, ბულგარეთის გემების ჰიდროდინამიკის ცენტრი, დაინტერესდნენ პროექტით და აქტიურად მონაწილეობდნენ გავრცელების ღონისძიებაში.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა კვლევის ძირითადი შედეგები და საპილოტე სადემონტრაციო ტესტები და ტრენინგები ინოვაციური ტექნოლოგიების და პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტების პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. ჰიდროგრაფიული გაზომვებისა და კვლევის თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, თევზის და არათევზეული რესურსების მონიტორინგში, ზღვის წყლის ძირითადი ფიზიკური და ქიმიური პარამეტრების გაზომვა, რიცხვითი მოდელირება, მონაცემთა გაზიარება და გავრცელება web-GIS-ის საშუალებით ყველაზე განხილვადი საკითხები იყო.

პროექტი ასევე ადგილობრივი მედიით წარედგინა ფართო საზოგადოებას სპეციალურ ინტერვიუში: ["ინოვაციური ტექნოლოგიები თევზის მარაგის და არათევზის რესურსების შესაფასებლად"](#).



Project funded by
EUROPEAN UNION

ეს პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მოლდოვის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი და პირდაპირ არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.



პროექტი TIMMOD-ის მე-4 ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენი

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები.

ციფრული აქტივობები ორგანიზებული ციფრული სარეკლამო კამპანიის ფარგლებში ბულგარეთში

სპეციალიზებული ციფრული სარეკლამო კამპანია მოეწყო ბულგარეთში 2021 წლის ივნის-ივლისის პერიოდში, რომელიც დაკავშირებულია TIMMOD-ის ღონისძიებების სერიასთან, რომელიც ჩატარდა ვარნაში, ბულგარეთი - დემო ტესტები და ტრენინგი შავი ზღვის სანაპირო ზოლში, თემატური ტრანსსაზღვრო შეხვედრა #3 და გავრცელების ღონისძიება #4.

ამ ღონისძიებებს უმასპინძლა შავი ზღვის დუნაის კვლევისა და განვითარების ასოციაციამ (BDCA) - ვარნა, წამყვან ბენეფიციართან, თევზის რესურსების ინსტიტუტი - ვარნა (IFR) - სთან ერთად, რომელმაც უზრუნველყო კვლევითი გემი და ზღვის მონიტორინგის მოწინავე სენსორები და ინსტრუმენტები საზღვაო კვლევებისათვის.

TIMMOD ავითარებს თავის ონლაინ სივრცეში ყოფნას შექმნილი სოციალური მედიის არხებისა და ვებ გვერდის მეშვეობით, სადაც განხორციელდა რამდენიმე სარეკლამო აქტივობა: პრესრელიზის გავრცელება, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, პროექტის სიახლეების განახლება, ტრიპლეტების, ბროშურების, საინფორმაციო ბიულეტენების გავრცელება, ინტერვიუები ადგილობრივი მედიისთვის, ფილმის გავრცელება დემო ტესტებზე და სხვა საკომუნიკაციო აქტივობები.

TIMMOD -ი სოციალურ მედიაში



@Facebook @Linkedin @ResearchGate

www.timmod.org

შეჯამება ანგარიში რეკომენდაციები შესაბამისი ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვისა და შავ ზღვაში საზღვაო გარემოსდაცვითი მონიტორინგის საუკეთესო პრაქტიკის ხელშეწყობის შესახებ.

ანგარიშში წარმოდგენილია წყლის გარემოსდაცვითი მონიტორინგის და არათევზიური და თევზის მარაგების შეფასებისთვის მონაცემთა შეგროვების კუთხით გამოვლენილი შესაბამისი ტექნოლოგიური ინოვაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის გავრცელების და მიღების მორგებული რეკომენდაციები.



რეკომენდაციების ანგარიში მოიცავს:

- სხვადასხვა აღჭურვილობა/პლატფორმები, ანუ გემები, ნაგებობები, ბუები, თანამგზავრები, ავტონომიური ზედაპირული მანქანები, დისტანციური მართვის მანქანები;
- ახალი თაობის სენსორები, ტექნოლოგიის (მაგ., აკუსტიკა, ინფრაწითელი); და ტიპის მიხედვით (მაგ., სიმღვრივის სენსორი, ნიტრატის სენსორი, თევზის დათვლის სენსორი და ა.შ.);
- მონაცემთა შეგროვების/ნიმუშების აღების/გაზომების სხვადასხვა მეთოდოლოგია, მათ შორის რეალურ დროში გაზომვების მეთოდები/ინსტრუმენტები, ლაბორატორიული ანალიზისთვის წყლის სინჯის აღების მოწინავე ხელსაწყოები და ა.შ.;
- ICT ინსტრუმენტები/პროგრამული უზრუნველყოფა მონაცემთა დამუშავების/გადაცემის ტექნოლოგიებისთვის, მაგ., რადიო ტელემეტრია, თანამგზავრული გადაცემა და ა.შ.; პროგრამული ინსტრუმენტები მონაცემთა დამუშავებისა და ვიზუალიზაციისთვის, მათ შორის უახლესი cloud-ტექნოლოგიებისა და ვებ-ზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ჩათვლით.



ეს პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მოლდოვის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი და პირდაპირ არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.




პროექტი TIMMOD-ის მე-4 ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენი

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები.


ვებ-ზე დაფუძნებული ICT ინსტრუმენტები: GIS, მონაცემთა ბაზა, კოდები და ღია კოდის პროგრამული უზრუნველყოფა გარემოს მოდელირებისთვის.

აქტივობების ჯგუფმა T2, შავ ზღვაში მონაცემთა დამუშავების, რეალურ დროში კონტროლისა და საზღვაო პირობების პროგნოზირებისთვის მოწინავე ჰიდროეკოლოგიური რიცხვითი ინსტრუმენტების შეფასებისა და რეკომენდაციების შესახებ, დაიწყო თავისი პირველი შედეგების განხორციელება, კერძოდ, შედეგი D.T2.1.1 „ვებ-ზე დაფუძნებული ღია GIS ინსტრუმენტი დაინტერესებული მხარეებისა და საბოლოო მომხმარებლების მიერ მოდელირებული მონაცემების განსახორციელებლად, ჰიდროგარემოს მონიტორინგისა და მოდელირების შედეგებისა და სამომავლო პროგნოზების მონაცემთა ბაზის ჩათვლით“. მასში აღწერილია ყველა დავალება, რომელიც დაკავშირებულია მონაცემთა ბაზის ფორმულირებასთან და ღია GIS ინსტრუმენტის საწყის ფორმასთან.




ასევე დასრულებულია GEBCO, EMODnet და Navionics პლატფორმების მიერ გეორეფერენცირებული ბათიმეტრიული

მონაცემების დიგიტალიზაცია, რომლებიც გამოიყენება მოწინავე 3-D ჰიდროდინამიკური სიმულაციების ფარგლებში Delft3D მოდელით.



მეორე შედეგისთვის D.T2.2.1 "ტექნიკური ანგარიში შედეგებისა და მოწინავე მეთოდების ზემოქმედების შესახებ დაწყვილებულ ოკეანოგრაფიულ-ჰიდროდინამიკურ მოდელირებაში", Copernicus Marine Services-ის პლატფორმასთან ინტერაქცია განმტკიცდა Python ენის კოდირებით "motu-client", ბათუმი/ვარნის სანაპირო ზოლებში Delft3D საპროგნო გაშვებებისთვის ოკეანოგრაფიული პარამეტრების საიმედო სასაზღვრო პირობების მოსაპოვებლად. ატმოსფერული ზემოქმედების შეყვანა Delft3D-ში ასევე კონფიგურირებულია ბულგარეთისა და საქართველოს მდინარეების ჩაშვებების საწყის შეფასებებთან ერთად პირველი ჰიდროდინამიკური ცირკულაციის სიმულაციების დასაშვებად ორ საპილოტე საცდელ ობიექტში, ვარნასა და ბათუმში (იხ. გრაფიკი მარილიანობის 2-D ვერტიკალური კვეთისთვის ვარნას კონტინენტურ შელფზე).



Project funded by
EUROPEAN UNION

ეს პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მოლდოვის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი და პირდაპირ არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.



პროექტი TIMMOD-ის მე-4 ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენი


საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები.

მომავალში.

დემო ტესტები და ტრენინგი შავ ზღვაში - ბათუმი, საქართველო. ინოვაციური აპარატურის, მონაცემთა დამუშავებისა და რიცხვითი მოდელირების ხელსაწყოების დემონსტრირება გაგრძელდება შავი ზღვის მეორე ობიექტზე - ბათუმში, საქართველო.

დემონსტრაცია საქართველოში 2021 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში დაგეგმილ ორკვირიან ტრენინგების სახით ჩატარდება, მათ შორის:

- საზომი აღჭურვილობის განთავსება კვლევითი გემის პლატფორმაზე;
- საზომი მოწყობილობების წინასწარი ტესტირება და დაკალიბრება;



- რეალურ დროში გაზომვები საზღვაო გარემოში;
- მონაცემთა გადაცემა სახმელეთო სადგურებზე (დატალოგერებში ჩაწერის პარალელურად);
- ვებ-ზე დაფუძნებული ვიზუალიზაცია (რეალურ დროში);
- რიცხვითი მოდელებისთვის მონაცემებით უზრუნველყოფა;

დემო ტესტებსა და ტრენინგებს საქართველოში დაერთვება ღონისძიებების სერია:



- მე-4 თემატური ტრანსსასაზღვრო შეხვედრა (TTM#4) ფოკუსირებული დემონსტრირებული ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიების ადაპტირებისთვის საჭირო პრაქტიკულ საკითხებზე და შემდგომ ნაბიჯებზე;

- მეხუთე პროექტის გავრცელების ღონისძიება;
- რეგულარული SCOM და PMCT შეხვედრები;
- ციფრული სარეკლამო კამპანია საქართველოში;

ძირითადი მიგნებები და შედეგები წარმოდგენილი იქნება საინოვაციო სტრატეგიის პირველ პროექტში - გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და მოდელირების ტექნოლოგიური განახლების, მონაცემთა გაზიარებისა და ტრანსსასაზღვრო ინფორმაციის გაცვლის სისტემების გასაუმჯობესებლად.

ამას მოჰყვება საინოვაციო სტრატეგიის ეროვნული ვალიდაცია, მათ შორის დისკუსიები და ვალიდაცია პროექტის პარტნიორ ქვეყნებში ორგანიზებულ 5 ეროვნულ სემინარზე, ძირითადი მონიტორინგის შემსრულებლებთან, გადაწყვეტილების მიმღებებთან, ადგილობრივ და ეროვნულ ხელისუფლებასთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან.

პროექტი TIMMOD-ის მე-4 ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენი

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები.

TIMMOD PROMOTES INNOVATIONS IN ENVIRONMENTAL MONITORING



[TIMMOD-Project](#)



www.timmod.org

Elitsa Petrova-Pavlova
Institute of Fish Resources
(Lead Beneficiary)
BULGARIA
e.petrova@ifrvarna.com

Valeri Penchev
Black Sea - Danube
Association for Research
and Development
BULGARIA
timmod@bdcabg.org

Christos Makris
Aristotle University of Thessaloniki
GREECE
cmakris@civil.auth.gr

Natia Beridze
LEPL National
Environmental Agency
GEORGIA
natiaberidze@nea.gov.ge

Regional Environmental
Center - Moldova
MOLDOVA
info@rec.md

Mihaela Tudor
Danube Delta National Institute
ROMANIA
mihaela.tudor@ddni.ro



In memory of Victor Cotruta!
TIMMOD Project Team is expressing their great sorrow and sadness from the lost of
our friend, colleague and partner Victor Cotruta,
who passed away on September 14th 2021.



შავი ზღვის აუზის 2014-2020 წწ. ერთობლივი საოპერაციო პროგრამა
რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი მოლდოვა
სექტემბერი 2021

შავი ზღვის აუზის 2014-2020 წწ. ერთობლივი საოპერაციო პროგრამა თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ ევროპული
სამეზობლო ინსტრუმენტის მეშვეობით და შემდგომი ქვეყნების მონაწილეობით: სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი,
მოლდოვას რესპუბლიკა, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა.
ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური დახმარებით.
ამ პუბლიკაციის შინაარსი არის სრულყოფილად REC მოლდოვას პასუხისმგებლობა და პირდაპირ არ ასახავს ევროკავშირის
შეხედულებებს



Project funded by
EUROPEAN UNION



CROSS BORDER
COOPERATION

